

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



აკადემიკოს მზექალა შანიძისადმი მიძღვნილი
სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია
მზექალა შანიძე – 100



პროგრამა და თეზისები

20 იანვარი

2026

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე).

რეგლამენტი:

მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

სამშაბათი, 20 იანვარი

11.00

კონფერენციის გახსნა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

მისალმებები

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
პროფესორი

პირველი სექცია

**სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი
მაია ლომია**

11.30 – 13.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

ლაშა კაპანაძე

**„ერთი ჯგუფის მარტივთემიან ზმნათა“ უღლების თავისებურებანი
ზემოიშვებულში**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი

მარიტა აშორტია

**მარტვილის მუნიციპალიტეტის მთისა და ბარის სოფლების
მეტყველება ფონოლოგიური და მორფოლოგიური თვალსაზრისით
(შედარებითი ანალიზი)**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

სალომე ადამია

თათია მასურაშვილი

**მზექალა შანიძე: ბიოგრაფიული გზა და წვლილი ქართულ
ენათმეცნიერებაში**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქტორანტი ხათუნა ჩუგოშვილი

თეკლა ბუაძე

ლუდვიგ ვიტგენშტეინის ენის ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მამუკა დოლიძე

მამუკა ცერცვაძე

დაბალი რანგის წმინდანები ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში („წმ. ლუკა სტირისელის ცხოვრების“ მიხედვით)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ანა ქირია

დეა წულუკიძე

ნინო ანანიძე

შეუსაბამო სიტყვათშეხამებანი (გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ მიხედვით)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქტორანტი ნინო ნოზაძე

შესვენება

13. 00-14. 00

მეორე სექცია

**სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის დოქტორი
ნინო პოპიაშვილი**

14.00 – 17.00

თსუ | კორპუსი, აუდიტორია 202

ქრისტინე ბოჭორიშვილი

ანა ქურასბედიანი

ქალის როლის ანალიზი ქართულ ლიტერატურაში: ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“, აკაკი წერეთლის „გამზრდელისა“ და ვაჟა-

ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქტორანტი ხათუნა ჩუგოშვილი

მარიამ ჩიხლაძე

მარიამ მოდებაძე

შინაგანი კონფლიქტი, როგორც ტრაგედიის წყარო, ნიკო

ლორთქიფანიძის ნოველის „ტრაგედია უგმიროთ“ მიხედვით

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქტორანტი თინათინ თვალჭრელიძე

ნაია ხაჩიშვილი

მარი ბაიდარაშვილი-ფარულავა

კატო მიქელაძის მოღვაწეობის ისტორიიდან

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ნინო ახალაია

ნიკო დადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ქრისტინე მჟავანაძე

სოხუმის დაცემა, როგორც თაობათაშორისი კულტურული ტრავმა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ივანე წერეთელი



სალომე ადამია
თათია მასურაშვილი

მზექალა შანიძე: ბიოგრაფიული გზა და წვლილი ქართულ ენათმეცნიერებაში

მზექალა შანიძეს – თანამედროვე ქართველ ენათმეცნიერს ფილოლოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს – მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ენის სტრუქტურის კვლევაში, მისი ტერმინოლოგიის დამუშავებასა და თანამედროვე ენათმეცნიერებაში ქართული ენის ადგილის დამკვიდრებაში.

მზექალა შანიძე საკუთარ თავს სხვადასხვა სფეროში ხედავდა: მათემატიკაში, ბიოლოგიაში, თუმცა საბოლოოდ, მისი განათლება მამის ნებით, ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო გზით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სემიტური ენების მიმართულებით, წარიმართა.

სწავლა გააგრძელა ლენინგრადში და 1951 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში“. მზ. შანიძეს ეკუთვნის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მზ. შანიძის, როგორც ქართული ენის მკვლევრის, სამეცნიერო ინტერესები მოიცავს ისტორიულ ფონეტიკას და მორფოლოგიას ძველი და გარდამავალი ქართულის მონაცემების საფუძველზე, ასევე სალიტერატურო ენის აქტუალურ ნორმატიულ საკითხებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ იგი არაერთი ენის მცოდნე მრავალმხრივი მკვლევარია, რომელიც 93 წლის ასაკშიც კი ერთვულად აგრძელებდა ხელნაწერთა შესწავლას.

მოხსენების მიზანია, წარმოადგინოს მზექალა შანიძის ბიოგრაფია, თუ როგორ განვლო რთული ცხოვრებისეული გზა და რა წვლილი მიუძღვის ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში. მზექალა შანიძემ საფუძვლიანად გამოიკვლია და გამოსცა უძველესი გრამატიკული ტრაქტატი „სიტყუაი ართრონთათვს“, რომელიც ასახავს XI-XII საუკუნეების, სავარაუდოდ ეფრემ მცირის სკოლაში არსებულ ქართულ გრამატიკულ ცოდნას.

მის ცხოვრებისეულ ისტორიაში მკაფიოდ ჩანს, მისი თავმდაბლობა და მადლიერება იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს მისი, როგორც ენათმეცნიერის ჩამოყალიბებაში.

მარიტა აშორტია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მთისა და ბარის სოფლების მეტყველება ფონოლოგიური და მორფოლოგიური თვალსაზრისით (შედარებითი ანალიზი)¹

მეგრული ენის მეცნიერულად დასაბუთებული კილოკავური დაყოფა პირველად მოგვცა ი. ყიფშიძემ (1914). მეგრულ ენაში სამი არეალის და თითოეულ არეალში შემავალი მუნიციპალიტეტების მიხედვით გამოყოფილია სამი კილო: აღმოსავლური, ცენტრალური, დასავლური. კილოებად დაყოფა ემყარება მეგრული ენისთვის დამახასიათებელ ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და მორფონოლოგიურ პროცესებს. მარტვილი აღმოსავლურ არეალში შემავალი ერთ-ერთი მუნიციპალიტეტია; სამეცნიერო ლიტერატურიდან აქამდე ცნობილი იყო მარტვილის მუნიციპალიტეტის მეტყველების მორფონოლოგიური დახასიათება ბარის სოფლების მიხედვით. **მოხსენების მიზანია** მთის სოფლების მეტყველების ამსახველი ახალი მასალის შემოტანა კვლევაში, ბარის მეტყველებასთან შედარება-შეპირისპირება და სიახლეების გამოკვეთა. საანალიზო მასალად აღებულია ჩემ მიერ ლინგვისტური ექსპედიციის დროს ჩანერილი ტექსტები და ბეჭდური გამოცემები. აღმოსავლური არეალის ბარის სოფლებისთვის დამახასიათებელია ისეთი პროცესები, როგორებიცაა: 1. პალატალური ლ-ს იოტიზაცია და ზოგჯერ გაქრობა; 2. სახელის ფუძის გაცვეთა მიცემით ბრუნვაში და კო-ს „კაცს“ ტიპის ფორმების არსებობა; 3. სახელის ფუძეში ვა-ს ნაცვლად ო-ს შენარჩუნება: გოლა „მთა“, თომა „თმა“ ტიპის სახელების არსებობა და სხვ. მარტვილის მუნიციპალიტეტის მთის ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში ზემოაღნიშნული ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენები არ დასტურდება.

მოხსენებაში ვრცლად წარმოვაჩინთ მთისა და ბარის სოფლების მეტყველების შედარებით ანალიზს.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) MR-25-187 საგრანტო პროექტის ფარგლებში.

ნიკო დადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან

სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა და დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟს ნიკო დადიანს რუსეთის იმპერატორმა ნებაყოფლობით ათქმევინა უარი სამეგრელოს სამთავროს ტახტზე, რის სანაცვლოდაც მან უგანათლებულესი თავად მინგრელსკის ტიტული მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელს კავკასიაში უმსხვილეს მემამულედ ითვლებოდა, დედის, ეკატერინე ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ იძულებული გახდა კუთვნილი მიწების დიდი ნაწილი გაეყიდა და პეტერბურგში გადასულიყო საცხოვრებლად.

ნიკო დადიანს წარმატებული სამხედრო კარიერაც ჰქონდა. ჯერ კიდევ 1875 წლიდან მსახურობდა კავალერგარდის პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში. 1877 წლიდან იყო რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, ხოლო 1878 წლიდან გენერალ-მაიორი. დაჯილდოვდა ოქროს ხმლით. მას შემდეგ, რაც ბულგარეთის ტახტიდან პრინცი ბატენბერგი იქნა ჩამოგდებული რუსეთის იმპერატორმა თავადი ბულგარეთის მთავრის კანდიდატად წამოაყენა, რომელმაც ნიკო დადიანს მთელს მსოფლიოში სახელი გაუთქვა. სწორედ ამიტომაც მასზე წერდა, როგორც ქართული ისე უცხოური პრესა. თუმცა ბულგარეთში მიმდინარე ანტირუსულმა გამოსვლებმა და დასავლეთის სახელმწიფოების მცდელობამ საკითხის განხორციელებას ხელი შეუშალა. ამიტომაც, ნიკო დადიანს იმპერატორმა იმედი გაუცრუა.

1885 წელს ნიკო დადიანმა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა სრულიად უსასყიდლოდ გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მას არაერთი დამსახურება მიუძღვის საკუთარი სამთავროს წინაშე, მათ შორისაა ღარიბი მოსახლეობისთვის სრულიად უფასო სასწავლებლების დაარსება, აფთიაქების გახსნა, ზუგდიდ-ფოთს შორის რკინიგზის გაყვანა და სხვ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იგი აკადემიკოს დავით ჩუბანიშვილთან ერთად აქტიურად ცდილობდა ქართველებისათვის ივერის (ათონის) მონასტრის დაბრუნებას. თავადი მთელი ძალით შეეწინააღმდეგა რუსეთის იმპერიის მიერ გაჩაღებულ, მეგრული ენის სამწერლობო ენად გადაქცევის მცდელობას.

ამდენად, ნიკო დავითის ძე დადიანი გამორჩეულ და საინტერესო ფიგურას წარმოადგენდა სამეგრელოს სამთავროს ისტორიაში. შესაბამისად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოხსენებაში საუბარი გვაქვს ნიკო დადიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიის მნიშვნელოვან ასპექტებზე.

**ქალის როლის ანალიზი ქართულ ლიტერატურაში: ილია
ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“, აკაკი წერეთლის
„გამზრდელისა“ და ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“
მიხედვით**

ქალის როლი ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვლევით საკითხს, რადგან ქალი პერსონაჟის მხატვრული სახე მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების მორალურ, კულტურულ, სოციალური წესრიგის თავისებურებებთან. სხვადასხვა ავტორის შექმნილ ნაწარმოებებში ქალი გვევლინება როგორც ოჯახური ცხოვრების ორგანიზატორი, მსხვერპლი ან ზნეობრივი არჩევანის განმსაზღვრელ ფიგურად. აღნიშნული თემა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იკვეთება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, სადაც ქალი პერსონაჟის სახეები და მათი როლი განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ქალის მხატვრული სახის კვლევა საშუალებას იძლევა დავინახოთ, თუ როგორ ეხმიანება ლიტერატურა ეპოქის საზოგადოებრივ რეალობას.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში, „ოთარაანთ ქვრივი“, ქალი წარმოდგენილია როგორც მტკიცე და ღირსეული პიროვნება, რომელიც მძიმე ყოფის მიუხედავად ინარჩუნებს ზნეობას, სამართლიანობას, დამოუკიდებლობას. აკაკი წერეთლის პოემაში „გამზრდელი“ ნაზიბროლა ძალადობის მსხვერპლია, იგი მისი ტრაგედიით, გრძნობებითა და შეურაცხყოფით თითქოს განზე დგას, ნაწარმოებში არ იგრძნობა მისი სულიერი განცდები, შინაგანი სამყარო და ძალა. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში „სტუმარ-მასპინძელი“ ქალის პერსონაჟი განსაკუთრებით გამორჩეულ ადგილს იკავებს. ალაზა არ არის მხოლოდ ქმრის საკუთრება, ის არის დამოუკიდებელი და შეუპოვარი ქალი, ინდივიდუალიზმის განსახიერება.

განვიხილავთ შემდეგ საკითხებს: ქალი პერსონაჟის სახესთან დაკავშირებული ლიტერატურისა და კრიტიკული მიმოხილვების შესწავლა და ანალიზი; ქალის ფუნქციისა და როლის შედარება სხვადასხვა ავტორის შემოქმედებაში; შერჩეულ ნაწარმოებებში ქალი პერსონაჟი სიღრმისეული ანალიზი და შეფასება.

ლუდვიგ ვიტგენშტეინის ენის ფილოსოფია

ლუდვიგ ვიტგენშტეინი XX საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ ფილოსოფოსად ითვლება. მან საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ანალიტიკური ფილოსოფიის განვითარებაში. ანალიტიკური ფილოსოფია XX საუკუნეში ჩამოყალიბებული, ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომლის ერთ-ერთი საკვლევ თემას ენა და მისი ფუნქციები წარმოადგენს. სწორედ, ენის ფილოსოფიის პრობლემატიკით იყო, დაინტერესებული ვიტგენშტეინი. მის მოღვაწეობას, ჰყოფენ ორ ნაწილად, ადრეულ და გვიან პერიოდებად. სწორედ ადრეულ ეტაპზე ჩამოაყალიბა თეორიები ენის ფილოსოფიასთან დაკავშირებით, რომელსაც ნაშრომ, „ლოგიკურ-ფილოსოფიურ ტრაქტატში“ განიხილავს. ვიტგენშტეინმა თეორიები მნიშვნელოვანია იმით, რომ მან ენის შესახებ სრულიად ახლებური ხედვა შემოგვთავაზა. იგი იკვლევს, თუ როგორ შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს აზროვნება და ენა. ვიტგენშტეინი სვამს კითხვას, არის თუ არა შესაძლებელი ადამიანებმა შეიმეცნონ ობიექტური რეალობა ენის დახმარებით. აღსანიშნავია, რომ მისი ნააზრევი მთლიანად უარყოფს მეტაფიზიკას, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი ემყარება მხოლოდ ლოგიკას. მოცემულ ნაშრომში, მოკლედ არის განხილული ვიტგენშტეინის ძირითადი თეორიები ენის შესახებ, კერძოდ კი, მისი ცნობილი „ენობრივი თამაშის“ თეორია, რომელიც დღევანდელობაშიც არ კარგავს აქტუალობას.

ლაშა კაპანაძე

„ერთი ჯგუფის მარტივთემიან ზმნათა“ უღლების თავისებურებანი ზემოიმერულში

მარტივთემიან ზმნათა შორის გამოიყოფა ერთი ჯგუფი ზმნებისა (სულ სამიოდე ზმნა: *მოიტანს, მოიყვანს, მოიხმარს*), რომელთაც ზემოიმერულში სპეციფიკური უღლება ახასიათებთ.

ამ ზმნებში ისტორიულად მოხდა სისტემური ცვლილება: იყვნენ რთულთემიანები და გახდნენ მარტივთემიანები:

ძველი ქართული	ახალი ქართული
წარვიყვან-ებ	წავიყვან
წარიყვან-ებ	წაიყვან
წარიყვან-ებ-ს	წაიყვანს

წარვიყვან-ებ-თ
წარიყვან-ებ-თ
წარიყვან-ებ-ენ

წავიყვანო
წაიყვანო
წაიყვანენ

ამ ტიპის ზმნის პარადიგმა ზემოიმერულში ასეთ სახეს იღებს:

ზემოიმერული

წევიყვან
წეიყვან
წეიყვანს
წევიყვანო
წეიყვანო
წეიყვან-ებ-ენ

უთემისნიშნო ფორმათა გვერდით პარადიგმის ერთ-ერთი წევრი (-ებ) თემის ნიშანს ინარჩუნებს. შედეგად ირღვევა როგორც **თემის**, ისე **მწკრივის ფუძის უცვალეზლობის პრინციპი** (როგორც ცნობილია, თემა უცვალეზელ მონაცემს წარმოადგენს სერიის ფორმათათვის, ფუძე – მწკრივის ფორმათათვის).

ამ ფაქტს, ერთი მხრივ, განიხილავენ, როგორც შერეულ პარადიგმას, მეორე მხრივ – სხვადასხვა მწკრივის ფორმათა დამთხვევის თავიდან აცილების მცდელობას. ამ თვალსაზრისებს აკლია დამაჯერებლობა.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ მოვლენა ზემოიმერეთის ყველა რეგიონშია გავრცელებული; საუკუნის წინანდელი მასალისა (ქ. ძონენიძის მიერ ჩანერილი ტექსტებისა) და დღევანდელი ვითარების შედარება ადასტურებს, რომ ეს პარადიგმა „ნორმატული“ იყო და არის დღესაც ზემოიმერულისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ **მეიტანებენ** ტიპის ფორმები არის ძირითადი მახასიათებელი ზემოიმერული მეტყველებისა.

ქრისტიანე მჟავანაძე

სოხუმის დაცემა, როგორც თაობათაშორისი კულტურული ტრავმა

სოხუმის დაცემა თავისი ისტორიული მასშტაბითა და სიმბოლური დატვირთვით ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ მოვლენად იქცა ქართული კოლექტიური მეხსიერებისთვის. ეს მოვლენა მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ-ისტორიულ ფაქტად არ უნდა განიხილებოდეს, არამედ როგორც თაობათაშორისი კულტურული ტრავმა, რომელმაც მნიშვნელოვნად

განსაზღვრა კოლექტიური იდენტობის ფორმირება და საზოგადოებრივი თვითაღქმა.

ტრავმა წარმოიქმნება არა მხოლოდ ძალადობრივი მოვლენის შედეგად, არამედ მისი კოლექტიური გააზრების, ინტერპრეტაციისა და სიმბოლიზაციის პროცესში. სოხუმის დაცემა სწორედ ამგვარად იქცა საერთო ტკივილისა და დაკარგული სივრცის სიმბოლოდ. ქალაქი, რომელიც ოდესღაც ყოველდღიურობის, ბავშვობისა და მშვიდობიანი ცხოვრების სივრცე იყო, კოლექტიურ მეხსიერებაში გარდაიქმნა დაკარგული სახლისა და შეწყვეტილი მომავლის ნარატივად.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოხუმის კონცეპტუალიზაციას, როგორც მეხსიერების ადგილს. ფიზიკური მიუწვდომლობის მიუხედავად, სოხუმი აგრძელებს არსებობას კულტურულ სივრცეში – მონგონებებში, ნარატივებსა და სიმბოლურ წარმოდგენებში.

ადამიანები, რომლებსაც სოხუმი არასდროს უნახავთ, მას აღიქვამენ როგორც პირად დანაკარგს, რაც მიუთითებს ტრავმის ღრმად ფესვგადგმულ კულტურულ ხასიათზე. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „პოსტ-მეხსიერების“ ფენომენი, რომლის მეშვეობითაც მეორე და მესამე თაობა იღებს წარსულის გამოცდილებას, როგორც საკუთარი იდენტობის ნაწილს.

მოხსენების დასკვნით ნაწილში გამოკვეთილია, რომ გაუცნობიერებელი ტრავმა არ ქრება – იგი რჩება ჩუმ ძალად, რომელიც კოლექტიურ ცნობიერებას შიგნიდან აზიანებს. სოხუმის კულტურული ტრავმის გააზრება დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ გააზრებული მეხსიერება გვაძლევს საშუალებას, ტკივილი გარდავქმნათ არა სიჩუმის, არამედ ემპათიის, პასუხისმგებლობისა და მომავლის საფუძვლად.

მარიამ ჩიხლაძე

მარიამ მოდებაძე

**შინაგანი კონფლიქტი, როგორც ტრაგედიის წყარო,
ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის „ტრაგედია უგმიროთ“
მიხედვით**

მოხსენება შეეხება შინაგანი კონფლიქტის როლს ადამიანური ტრაგედიის ფორმირებაში და მიზნად ისახავს გაანალიზებას იმისა, თუ როგორ იქცევა პერსონაჟის ფსიქოლოგიური დაძაბულობა ნაწარმოების მთავარი

ტრაგედიის წყაროდ. სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა, „ტრაგედია უგმიროთ“, გვიჩვენებს, როგორ შეიძლება უბედურმა განსაცდელმა, შიმშილმა და უმწეობამ, ადამიანში ისეთი შინაგანი დაპირისპირება წარმოქმნას, რომელიც საბოლოოდ მისი პიროვნული და სულიერი დაღუპვის მიზეზი ხდება.

ნოველის მთავარი ფიგურა – გამოფიტული, გაღარიბებული მამა სწორედ ამ შინაგანი ბრძოლების შედეგად იქცევა საკუთარი ტრაგედიის მსხვერპლად. ერთი მხრივ, არის მისი მამობრივი სიყვარული და სინდისის ხმა, რომელიც არ აძლევს საშუალებას უყუროს შვილების ტანჯვას; მეორე მხრივ კი, სხეულის ინსტინქტური მოთხოვნილება, შიმშილი, რომელიც საბოლოოდ სძლევს მის მორალურ წინააღმდეგობას. ჭადის ცხოვისას მომხდარი შემთხვევა („მე შევჭამე... ბავშვებს არაფერი ვაჭამე...“) გარდაიქმნება გმირის ფსიქიკაში თვითდამანგრეველ ძალად, რომელიც სირცხვილით, დანაშაულითა და საბედისწერო სასოწარკვეთილებით ავსებს. ბავშვების უმწეო ხმა – „მამა, ცოტაც დაგრჩა?“ – საბოლოოდ ანგრევს მამას და მისი ცხოვრების ტრაგიკულ ფინალამდე მიჰყავს. მისი თვითმკვლელობა არ არის მხოლოდ გარეგანი სილატაკის შედეგი; ეს არის შინაგან ბრძოლაში დამარცხების, საკუთარი თავის ვერ პატიების, მორალური კრახის ექო.

ნოველაში „გმირი“ არა ინდივიდი, არამედ საზოგადოებაა – ისეთი გარემო, სადაც დაქვეითებულია თანაგრძნობა და დამკვიდრებულია სოციალური უსამართლობა. ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟი ადგილს ვერ პოულობს ახალ რეალობაში. ვერ ეგუებიან ახალ, პრაგმატულ წესებს და, ამავე დროს, აღარ გააჩნია ძალა. ეს ქმნის ღრმა ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობას.

მამუკა ცერცვაძე

დაბალი რანგის წმინდანები ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში („წმ. ლუკა სტირისელის ცხოვრების“ მიხედვით)

ჰაგიოგრაფიას ადრეულ შუა საუკუნეების ბიზანტიურ ლიტერატურაში ერთობ განსაზღვრული და მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რაც განპირობებულია რომის იმპერიის ბერძნულენოვან სალიტერატურო ტრადიციაში ქრისტიანული მსოფლალქმის დამკვიდრებითა და სინმინდის ცნების ფორმირებით. ნახსენები ჟანრი, რომელიც წარმართული კულტუ-

რის გარშემო ჩამოყალიბდა და ამდენად, გარკვეულ საინტერესო მიმართებებს ავლენს ანტიკურ სალიტერატურო ტრადიციასთან, ამავე დროს, გვიჩვენებს ანტიკური ჟანრის თეორიის სინქრონული პრინციპების რღვევის პროცესს, რაც სინამდვილისათვის ფიქციაზე უპირატესობის მინიჭებით გამოიხატება.

ჰაგიოგრაფიას ქრისტიანულ ლიტერატურაში თავისთავადი ღირებულება აქვს, სწორედ მისმა უნივერსალურმა ხასიათმა აქცია იგი ყოველი ქრისტიანული აღმსარებლობის ერში ერთ-ერთ პირველადი მნიშვნელობის ჟანრად. უძველესი ჰაგიოგრაფიული ძეგლები ძირითადად მარტვილოლოგიური ხასიათისაა, თუმცა 313 წელს ე.წ. მილანის ედიქტის მიღების შემდეგ მკვიდრდება ცხოვრების ტიპის ჟანრი. ამავე ჰაგიოგრაფიულ ტიპს განეკუთვნება დაბალი რანგის წმინდანთა ცხოვრების გადმოცემა, რომლის მაგალითიცაა ბიზანტიური ლიტერატურის ნიმუში, კერძოდ, „წმინდა ლუკა სტირისელის ცხოვრება“. მსგავსი თხზულებები, პირველ რიგში, გვიჩვენებს წმინდანთა კულტის დამკვიდრებისა და გავრცელების პროცესს აღმოსავლეთ რომის ბერძნულენოვან პროვინციებში და ამავე დროს, ახალი ჟანრის ფორმირების მამოტივირებელ მიზეზებს.

დაბალი რანგის წმინდანთა ცხოვრების ჰაგიოგრაფიული გადმოცემისას გარკვეული ტიპობრივი მახასიათებლები შეინიშნება, რაც, ერთი მხრივ, ენობრივი თავისებურებითა და ავტორის მხატვრული პრინციპებით აიხსნება, მეორე მხრივ, კი – სიუჟეტის აგების ძირითადი მოდელით. ამგვარი ჰაგიოგრაფიული ჟანრის ტიპისათვის არსებითია დაბალი სოციალური რანგის წმინდანის ცხოვრების აღწერა, რომელიც, თავის მხრივ, უმეტესად არც მაღალ სასულიერო იერარქიას მიეკუთვნება ანდაც უმცირეს შემთხვევაში მისი სამღვდლო თუ საეპისკოპოსო ქიროტონია საკუთრივ წმინდანის ნების საწინააღმდეგოდ ხდება, რასაც „წმინდა ლუკა სტირისელის ცხოვრებაც“, როგორც ნახსენები ჟანრის ტიპური ნიმუში, კარგად გვიჩვენებს.

ამდენად, მოხსენების მიზანია იმ თავისებურებების კვლევა და ანალიზი, რომლებიც ახასიათებს დაბალი რანგის წმინდანთა ცხოვრების შესახებ შექმნილ ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს, „წმინდა ლუკა სტირისელის ცხოვრების“ მიხედვით და ამის კვალად გააზრება იმისა, თუ რას მოიპოვებს ადრე შუა საუკუნეების აღმოსავლეთ რომაული წარმოდგენა სინმინდესა და წმინდანზე.

შეუსაბამო სიტყვათშეხამებანი **(გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ მიხედვით)**

მხატვრულ შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით შეუსაბამო სიტყვათ-
შეხამებებს. ამ მხრივ გამორჩეულია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება.

„სამოსელი პირველის“ პირველი ნაწილში ნათლად ჩანს ავტორის
შემოქმედებისთვის დამახასიათებელი მხატვრული ფორმები. ტექსტი
გამორჩეულია ენობრივი პარადოქსებით, რომელთა ნაწილი აშკარა შე-
უსაბამო სიტყვათშეთანხმებას ეფუძნება. ყველაზე თვალსაჩინოდ არის
წარმოდგენილი სემანტიკური თვალსაზრისით შეუხამებელი კონსტრუქ-
ციები, მაგალითად:

„ცრემლი სიცილისა“ – ამ კონსტრუქციაში ემოციური მნიშვნელო-
ბები ერთმანეთს ეჯახება: ცრემლი ტკივილს უკავშირდება, სიცილი კი
ხალისს. შედეგად ჩნდება აზრობრივი შეუსაბამობა.

„ბედნიერი ტკივილი“ – ტკივილი და ბედნიერება ჩვეულებრივ წინა-
აღმდეგობრივი მნიშვნელობებია, ამიტომ სემანტიკურად შეუხამებელია.

ნაშრომი მიზნად ისახავს გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებში შეგნე-
ბულად დაშვებული შეუთავსებელი სიტყვათშეთანხმებების კლასიფიკა-
ციასა და მათ ფუნქციურ დატვირთვაზე დაკვირვებას. კვლევა აჩვენებს,
რომ სტილისტურად გაუმართავი კონსტრუქციები არა ენობრივი ბუ-
ნდოვანების ნიშანი, არამედ – მხატვრული გამოთქმის სტრატეგიაა, რო-
მელიც კანონზომიერად უკავშირდება ავტორის ენობრივ ექსპერიმენტს.

შეუსაბამობებს ინვევს სხვადასხვა მეტყველების ნაწილის თანხვე-
დრა, რისი გამომწვევი მიზეზიც გახლავთ სულიერი საგნის თვისების
მიწერა უსულოზე. სემანტიკურად შეუხამებელი შეფარდება განზრახ
არღვევს მკითხველის მოლოდინს, წარმოშობს დისკომფორტის მომგვ-
რელ, მაგრამ ამავე დროს აღმაფრთოვანებელ განცდას და ასე აახლო-
ებს მკითხველს პერსონაჟების შინაგან სამყაროსთან, სადაც რეალობა
და ფანტასტიკა, ლოგიკური და ალოგიკური ერთდროულად არსებობს.
შეუსაბამო სიტყვათშეთანხმება ქმნის შინაარსობრივად

გამოკვეთილ და ხშირად სიღრმისეულ აზრს. ამგვარი პარადოქსული
კონსტრუქციები ტექსტში გარდაიქმნება აზროვნებისა და აღქმის მოდე-
ლებად. შედეგად, ენა ხდება არა მხოლოდ აზრის, იდეის, ავტორის
სათქმელის გადმოცემის, არამედ თავად ნაწარმოების მხატვრულ-ფილო-
სოფიური სიღრმის დანახვის საშუალება.

გურამ დოჩანაშვილის მიერ შეგნებულად გამოყენებული ენობრივი შეუსაბამობანი არღვევს ტრადიციული მეტყველების ფორმებს და ქმნის ახალი ტიპის ესთეტიკურ სივრცეს, სადაც სიტყვა მხოლოდ სახელდება აღარ არის – იგი აზროვნების, ემოციისა და მხატვრული ხედვის გადმოცემ ძალად გარდაიქმნება. სწორედ ამით ხდება „სამოსელი პირველი“ გამორჩეული ნაწარმოები.

ნაია ხაჩიშვილი

მარი ბაიდარაშვილი-ფარულავა

კატო მიქელაძის მოღვაწეობის ისტორიიდან

მთელი ისტორია არის ისტორია მამაკაცებისა, მათი ომებისა და რევოლუციისა, მათი შუღლისა და ამბოხებისა, სადაც მდებრობითი სქესი პოლიტიკურ და მოქალაქურ ცხოვრებაში უკანასკნელ ხანამდე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა, – ამბობდა თითქმის ერთი საუკუნის წინ კატო მიქელაძე, ქალთა უფლებების დამცველი და ემანსიპაციის გულმხურვალე მხარდამჭერი, მქადაგებელი, ფემინისტი, პუბლიცისტი და რომელიც იბრძოდა სამართლიანობისთვის, მომავლისთვის, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ქცევისთვის, ხმის აქტიური და პასიური უფლებისთვის, განათლებისთვის, თანასწორობისთვის. ეს იყო ბრძოლა ქალი – გმირის, აქტივისტის, ქალი – პუბლიცისტის, რომლის ხმა 1917 წლამდე არავის ესმოდა.

1917 წლის 5 აპრილს, ოთხშაბათ დღეს, კატო მიქელაძის ხელმძღვანელობით გამოვიდა საქართველოს ისტორიაში პირველი ფემინისტური გაზეთის, „ხმა ქართველი ქალისა“, პირველი ნომერი.

„ხმა ქართველი ქალისა“ მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით და აქტიურად ეხმაურებოდა მიმდინარე მოვლენებს, გვთავაზობდა მაშინდელი, ისტორიულად ძალიან მნიშვნელოვანი, პროცესების ფემინისტურ ხედვას, მათ შორის, პირველ რიგში, იმ მოვლენებისას, რომლებიც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში მიმდინარეობდა., გაზეთს, „ხმა ქართველი ქალისა“, თავისი არსებობის განმავლობაში ბევრი წინააღმდეგობა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ კატო მიქელაძე ბოლომდე იბრძოდა მის შესანარჩუნებლად, ბევრი იდეოლოგიური თუ ტექნიკური ბარიერის გამო, გაზეთი 1918 წელს დაიხურა. მთლიანობაში გამოვიდა მისი 50 ნომერი. 1917 წელს – 32, ხოლო 1918 წელს – 18.

გარეკანზე ფოტო ირაკლი გედენიძისა
<https://sainteresoadamianebi.1tv.ge/?id=104>



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

მზექალა შანიძე (16. 01. 1926, თბილისი) ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1953 წლიდან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი); 1981-2006 წლებში იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი, 1982 წლიდან ამ კათედრასთან არსებული ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორიონის“ ხელმძღვანელი; 2006 წლიდან დღემდე არის თსუ-ს ემერიტუს პროფესორი, რექტორის საბჭოს მრჩეველი. 1957 წლიდან მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი), 1958 წლიდან კი ამ განყოფილების ბაზაზე შექმნილ ხელნაწერთა ინსტიტუტში (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი); 1968-2002 წლებში ხელმძღვანელობდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილებას; 1958-1968 წლებში შეთავსებით ეკავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა. 2002-2006 წლებში იყო კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი კონსულტანტი. არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 8 ნიგნის ავტორი. ცალკეული შრომები დაბეჭდილია გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, რუსეთსა და საბერძნეთში.

სამეცნიერო ინტერესების სფეროები: ქართული ენა, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ლექსიკოლოგია, ტექსტოლოგია, კოდიკოლოგია, ბიბლიისტიკა, სემიტოლოგია.

მზექალა შანიძე 2013 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

2015 წლიდან - თბილისის საპატიო მოქალაქე;

1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი);

1996 წელს გადაეცა ღირსების ორდენი ქართული მეცნიერების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის;

2021 წელს ქართველოლოგიის განვითარებაში, ძველი და ახალი ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისა და გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა თამარ მეფის ორდენით.

სხვადასხვა დროს მიღებული აქვს აკაკი შანიძის საუნივერსიტეტო პრემია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია, შოთა რუსთაველის სახელობის პრემია, ივანე ჯავახიშვილის მედალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი, ილიას მედალი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრწყინვალეობის ორდენი და სხვა ჯილდოები. არჩეულია რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.